14/10/2026

მართლმადიდებელ ეკლესიათა წარმომადგენლებმა ბოდბის დედათა მონასტერი მოილოცეს

ამა წლის 13 ოქტომბერს ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერი მოილოცეს ალექსანდრიის საპატრიარქოს წარმომადგენელმა, მარეოტის ეპისკოპოსმა დამასკინოსმა, საბერძნეთის სამთავარეპისკოპოსოს წარმომადგენელმა, დიმოტიხის, ორესტიადისა და სუფლის მიტროპოლიტმა დამასკინოსმა და პოლონეთის სამიტროპოლიტოს წარმომადგენელმა, სუპრასლის ეპისკოპოსმა ანჯეიმ.

სტუმრები საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლისთავთან დაკავშირებით იმყოფებიან.

სტუმრებს თან ახლდა მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსი მელქისედეკი (ხაჩიძე).

sazu.ge